ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 02

დ. ლენტეხი 12.03.2024 წ.

2024 წლის 12 მარტს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი, კომისიის წევრები: გიორგი გაზდელიანი, დავით პირველი, მევლუდ ლიპატელიანი, ირაკლი ქურასბედიანი, ზურაბ ონიანი და მოწვეული სპეციალისტი ამირან ლიპარტელიანი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. წანაშის მოსახლეობის ერთობლივი განცხადების განხილვა.(სოფ.წანაშში, კერძოდ „იფხალდში" მდ. ხელედურის გასწორხაზოვნება). /მომხს: ს. ავალიანი/**

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ლესემის მოსახლეობის ერთობლივი განცხადების განხილვა.(ლენტეხ-ხელედის მიმართულებით საავტომობილო გზის მოწყობა ბეტონის საფარით და ავტომანქანების სიჩქარის საწინააღმდეგო ბუგორების დაგება ოთხ ადგილზე.)**

/მომხს: ს. ავალიანი/

3. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაბილში ცენტრალურ გზის გასწვრივ სანიაღვრე არხის მოწყობა თავისი ცხაურით.**

/მომხს: ი. ქურასბედიანი/

4. **ახალი დასახლების მოსახლეობის განცხადება.**

/მომხს. ს.ავალიანი/

1. მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა აღნიშნა, რომ კომისიას დაგვეწერა სოფ. წანაშის მოსახლეობის განცხადება. განცხადების თანახმად მოსახლეობა თხოვს „იფხალდის" დასახლებაში მდინარე ხელედურის გასწორხაზოვნებას.

   კომისიის წევრებმა ადგილზე მისვლით გადაამოწმეს განცხადებაში მოყვანილი ფაქტები და აღმოჩნდა, რომ დასახლებულ პუნქტიდან 10-20 მეტროში

ჩამოედინება მდ. ხელედურა, რომელიც საშიშროებას უქმნის მაცხოვრებლებს, განსაკუთრებით პრობლემებია უხვნალექიანობის დროს. ანალოგიურ ადგილზე, მეორე მხარეს მდინარე ხელედურა საშიშროებას უქმნის სახელმწიფო მნიშვნელობის გზას წანაშ- ხელედის მონაკვეთზე. საკითხის მოგვარების შემთხვევაში დაცული იქნება როგორც სოფლის მოსახლეობა, ასევე აღნიშნული გზის მონაკვეთი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს საკითხთან დაკავშირებით და გადაწყვიტეს: ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს - აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიზნით გაუწიოს შუამდგომლობა სოფ. „იფხალდის" მოსახლეობას შესაბამის სახელმწოფო უწყებებთან.

2. კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა აღნიშნა რომ, შემოსულია სოფ. ლესემის მოსახლეობის განცხადება. განცხადების თანახმად მოსახლეობა ითხოვს ლენტეხი -ხელედის მიმართულებით საავტომობილო გზის მოწყობას ბეტონის საფარით და ავტომანქანების სიჩქარის საწინააღმდეგო ბუგორების დაგებას ოთხ ადგილზე.

კომისიამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას გაატაროს ქმედითი ღონისძიებები.

3. მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა აღნიშნა, რომ დაბის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ქურასბედიანი შემოვიდა წინადადებით, რომელიც ითხოვს სოფ. ბაბილში ცენტრალური გზის გასწვრივ სანიაღვრე არხის მოწყობას თავისი ცხაურით.

კომისიამ იმსჯელა და გადაწყვიტა: ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

4. მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა აღნიშნა, რომ კომისიას განსახილველად დაეწერა დაბაში ახალი დასახლების უბნის მაცხოვრებლების ერთობლივი განცხადება. განცხადების თანახმად მოსახლეობა ითხოვს უსაფრთხოების მიზნით გზის მარცხენა მხარეს დამცავი კედლის გაკეთებას.ამავე დროს ითხოვენ შემოვლითი გზის დასრულებას ბეტონის საფარით.

კომისიამ ადგილზე მისვლით შეამოწმა განცხადებაში მოყვანილი ფაქტები და გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები ნამდვილად რეალურია და საჭიროებს ადგილობრივი ხელმძღვანელობისგან ყურადღებას.

კომისიამ იმსჯელა და გადაწყვიტა: ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას დაბაში ახალი დასახლების უბნის მაცხოვრებლების პრობლემების მოგვარება.

კომისიის სხდომა დამთავრდა 14 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: /ს.ავალიანი/